№ 66 25 მარტი, კვირა 1866—1879 25 მარტი, კვირა № 66

დროება

ᲣᲛᲔᲚᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲠᲐᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ლონდონსა-ებით ახოზე—1 კაპ., ახალ-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲕᲔᲜᲐ, მარტს. ავსტრიის მთავრობამ აღკრძალა რუსეთიდამ ავსტრიაში პირუტყვის შემოიყვანა.

ᲐᲗᲘᲜᲐ, 23 მარტს. საბერძნეთის მეფემ გიორგიმ უთხრა ეპირის დეპუტატებს, რომელთაც იმას ადრესი მიართვეს, მე სრული იმედი მაქვსო, რომ ეპირისა და თესსალიის ნაწილები, რომელნიც ბერლინის კონგრესმა დაგვითმო ჩვენ, უეჭველად მოგვეცემა ოსმალეთისაგანაო.

ხელის-მოწერა

გაჭირებულ ქართველთათვის

სია მერვე

უფ. დ. ი. ვარდაშვილის საშუალებით მოგროვილი თფილისში:

	მან.	კაპ.
დავით ვარდაშვილი	4	„
მადამ ტოლლე	3	„
ედუარდ ტოლლე	3	„
ანრი ტოლლე	3	„
ჭოზეფ ტოლლე	1	„
ვირჟინი ოლვრე	1	„
გიორგი ჭიჭინაძე	1	„
მინას ლარიბჯანოვი	1	„
სოლომან ია კაძე	1	„
სპრიდონ ისაკაძე	1	„
ნიკალოზ ზურაბოვი	1	„
ნიკ. ბაქბეუქ-მელიქოვი	„	50
სიმონ ცერაძე	„	50
ასლან აგაროვი	„	50
ტიხონ აკულოვი	„	50
კოსტანტინე ივანოვი	„	50
ბაგრატ ვარდაშვილი	„	70
ჟ. ზიდენტაპჭ	„	50
მ. ბინეპან	„	50
ე. მეკან	„	50
გიორგი ბერიაშვილი	„	20
ნიკ. ბულგაკოვი	„	20
ბიგო ძათამაძე	„	40
იოსებ სულაძე	„	30
რაჟდენ პეტრიაშვილი	„	20
სონა ჭიქოძისა	„	40
მაგდალინ ტოლლე	1	„
მიხ. კარინსკი	1	„
ეკატერინა ფიბიანსკისა	„	50
ბარბარე ალაევისა	„	30
მარია კარინსკისა	1	„
სპრიდონ ხარაბაძე	„	30
გრიგორ არუთინოვი	1	„
დავით ჯორჯაძე	1	„
სიმონ ქანდარჩოვი	1	„
დავით ვართანოვი	„	20
X. X.	1	„
მადამ არშინარ	1	„
ვანო მაისურაძე	1	„
ვასილი ქანანოვი	1	„
ბარბარე ხარაზოვისა	2	„
ლავრენტი ნუქიფი	„	50
ლევან ადამია	„	50
შ. შერონ	„	50
ალექსანდრე აკოფოვი	1	„
კარაპეტ ბაბოლოვი	„	30
ვასილ ალიხანოვი	„	30
არტემ ტერ-არუთინოვი	„	20
პავლე ქუჩეიძე	1	„
მარიამ ვარდაშვილის	1	„
ფრანსო არშინარ	„	20
ალექსი ბეგელოვი	„	20
ნასტ. რინსკისა	„	15
ს. ჩარახჩიანი	1	„
ი. მაიერი	2	„
მ. ბადერზოვი	„	40
სიმონ ყიფიანი	„	20
სიმონ ჩქარიული	1	„
ყარამან ილდაქიძე	„	40
იოსებ სუნდუკიანცი	„	25

ფელეტონი

კოლეტს

ზეცამ დაგბადა ბოროტთა მტერათ,
ჭეშმარიტების ქვეყნად მფარველათ,
ხალხის ჩაგრულის მომხრე-მოკეთათ,
მისის წყლულების ექიმ-მკურნელათ..

—

იშიშვლე ხრმალი—ზეცისა ნიჭი,
შეუპოვრათ სტუქსე კაცთ ქცევა,
ვინც უნდა იყოს; ნულარ გაქვს იჭვი:
შენია დრო და შენია ძლევა!..

—

აღვიძე ხალხი ტკბილის ძილიდან,
მას გარდაეცი ზეცისა ნება;
მიეც ლამპარი შენის ხელიდან,
„შენია“,—უთხარ,—„დროთ-ვითარება“!

—

ასწავე შენ მას კარგი და ცუდი:
ვის მეგობრობდეს, ვისთან იბრძოდეს;
რომ, ამ ნაირათ, გზა-ევალი მრუდი
შენის რჩევითა მას გაუსწორდეს..

მეგრელი

მოსკოვი, 1879 წ.

მასლაათი

„ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲐ“ ᲓᲐ „ᲓᲐᲪᲕᲐ“.—ᲣᲤ. ᲚᲝᲚᲣᲐ.—ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲗ ᲒᲐᲜᲙᲘᲪᲮᲕᲐ. — ᲣᲤ. ᲚᲝᲚᲣᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.—ᲠᲐᲓ ᲣᲦᲐᲚᲐᲢᲐ ᲘᲛᲘᲜ ᲣᲠᲘᲔᲑᲡ?—ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.—ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲑᲔᲡ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲖᲔ.—ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲐ ᲑᲔᲡ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ.—

—

მომავალი კვირა ქრისტეს „აღდგომის“ კვირა იქნება. ბავლილი კვირა კი ქუთაისის ადვოკატის უფ. ლოლუას „დაცვის“ კვირა იყო.

მართალია, საზოგადოთ ჩვენებური ადვოკატები ადგომილი ღა ამაღლებული არასოდეს არ ყოფილან; ჩვენი საზოგადოება ყოველთვის ზნეობით დაცემულ პირებათ იცნობდა იმათ; მართალია, ამათ შორის არც უფ. ლოლუას დაუმსახურებია საზოგადოების თვალში ზნეობისა და უმანკოების გვირგვინი თავის ადვოკატობითა;—მაგრამ ამ ურიების საქმემ მაინც სულ ბოლო მოუღო იმას. ასე გასინჯეთ, თავის ქუთაისელ ამხანაგებმაც კი ტლინკი ესროლეს: ოთხმა ამათგანმა, რომლებშიაც ურევია უფ. ნ. ყიფიანი, გუშინდელს „თფილისის მოამბეში“ დაბეჭდეს გრძელი პროტესტი, რომელშიაც ჰკიცხავენ უფ. ლოლუას მოქმედებას ურიების საქმეში და თხოულობენ, რომ ამ საქმისათვის აღებული ათასი მანეთი იმან უეჭველად უნდა შესწიროსო „ქუთაისის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებასაო!“

რა კარგი იქნება, რომ ყოველთვის, ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებით ყოველ საზოგადო საქმეში ამისთანა განკიცხვა ვიცოდეთ, ამისთანა დასჯას მივაყენებდეთ ყველას, ვინც თავის მოვალეობასა და სინიდისს გადასცდება! რა კარგი იქნება, რომ ყველა ბოროტ კაცს, საზოგადოების მავნებელს მოელოდეს საზოგადოებისაგანვე ამისთანა ზნეობითი და ხან მატერიალური დასჯა!

რამდენი მრუდე გზაზე მოსიარულე, რამდენი ზნეობა-დაცემული კაცი გასწორდებოდა მაშინ ამ სასტიკი სასჯელის შიშით! რამდენს „მოაქრისტიანებდა“ მარტო იმის შიში, რომ ხვალ ჩემს „წაბოროძიკებას“ ქვეყანა შეიტყობს და თითით საჩვენებელი შეიქნებიო!

მაგრამ სად არის, ვინ არის ამისთანა

დავით ოსეფოვი — — —	„	20

ქნიაჟნა ნინო ლუკას ასულის თარხან-მოურავისაგან მოგროვილი:

X. X. — — — — — —	5	„
მაქრო მალალაშვილი —	15	„
ბრაკერი — — — — — —	3	„
X. X. — — — — — —	6	„
ვას. ფავლენოვი — — —	3	„
ის. მაჩაბელი — — — —	1	„
ციციშვილი — — — — —	1	„
აბირ. მაჩაბელი — — —	2	„
დავით სუმბათოვი — — —	5	„
არჩილ ჭავჭავაძე — — —	5	„
ნიკო მესხიევი — — —	5	„
ივანე ამილახვარი — — —	1	„
ალექ. ციციშვილი — — —	1	„
კელბერ — — — — — —	5	„
კოტე ორბელიანი — — —	6	„
იაკ. ისაროლოვი — — — —	1	„
ბაბაშვილი — — — — —	2	„
ბეგე მალალაშვილი — —	5	„
X. X. — — — — — —	1	„
X. X. — — — — — —	1	„
ლიზა ყაზიბეგისა — — —	5	„
ზარაფოვი — — — — —	10	„
ყარანგოზოვი — — — —	1	„
აველიშვილი — — — —	1	„
ვასილ ფალავანდოვი — —	10	„
X. X. — — — — — —	1	„
X. X. — — — — — —	1	„
X. X. — — — — — —	1	1
იორ. ციციშვილი — — —	2	„
სტე. მანველოვი — — — —	1	„
და. ქობულოვი — — — —	1	„
ქნ. მელიქოვისა — — — —	3	„
X. X. — — — — — —	1	„
ილია ვაჩნაძე — — — —	3	„
ს. ჩერქეზოვი — — — —	1	„
ნინო ხერხეულიძე — — —	3	„
ხერხეულიძე — — — — —	1	„
X. X. — — — — — —	1	„
X. X. — — — — — —	1	„
X. X. — — — — — —	2	„
X. X. — — — — — —	2	„
X. X. — — — — — —	1	„
ავალოვისა კნეინა — — —	3	„
X. X. — — — — — —	1	„
ოთარშნელი — — — —	1	„
თ. ზალ ივანესძე ციციშვილი	1	„
X. X. — — — — — —	1	„
ბერნოვი — — — — —	10	„
ხანი — — — — — —	2	„
საგინოვი — — — — —	1	„
შენინგი — — — — —	10	„
X. X. — — — — — —	3	„
ამბარდანოვი — — — —	3	„
მ. მორთულაძე — — — —	3	„
X. X. — — — — — —	1	„
ზულგადარი — — — —	5	„
ლევან ჯანდიეროვი — — —	1	„
ქნა ორბელბანისა — — —	3	„
ქნიაჟნა ბარათოვისა — —	2	„
X. X. — — — — — —	5	„
X. X. — — — — — —	4	„
ქნ. ბაბ. ბარათოვისა — — —	1	„
მალალოვისა — — — — —	2	„
X. X. — — — — —	2	„
X. X. — — — — —	„	50
X. X. — — — — — —	„	50
სულ —	256 მან.	
ადრინდელი — — — —	589—5	
სულ რედაქციაში მოგროვილაი	839—5	

საქართველო

დღიური

⁂ პეტერბურღიდამ იწერებიან, რომ ერთს უქაურს ეკკლესიაში გადაუხდიათ პანაშვიდი მიცვალებულის ბესარიონ ღოლაბერიძისა, რომელზედაც ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და მიცვალებულის ნაცნობები დასწრებიან.

ჩვენ მივიღეთ აგრეთვე სიღნაღიდამ ამბავი, რომ იქაც გადაუხდიათ ნეტარ-ხსენებულის პანაშვიდი და ამ პანაშვიდზე დასწრებიან ადგილობრივი უეზდის უფროსი თ. ნ. ზ. ჩოლაყაშვილი იმის თანაშემწე, თფილისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორი უფ. სტრელეცკი, ყველა შაგირდები სიღნაღის შკოლებისა და აგრეთვე ზოგიერთ სოფლის მასწავლებელნი, რომელნიც განგებ ამისთვის ჩამოსულან სოფლებიდამ. პანაშვიდის შესრულების შემდეგ სიღნაღის სობოროს მღვდელს მ. ს. ბეგიევს წარმოუთქვამს მიცვალებულზე ჩინებული, მჭევრ-მეტყველური სიტყვა.

წესის შემომღები! და ეს ერთი „მერცხალი გაზაფხულს არ მოიყვანს“...

რომ ვსთქვათ, მართლა, რა დააშავა ამის ფასი უფ. ლოლუამ? სწორეთ რომ ვთქვათ, მაგდენი არაფერი, ისეთი არაფერი, რომელიც სხვა ჩვენ ადვოკატებს არ დაეშავებინოსთ; სხვა დროს იქნება თვითონ უფ. ლოლუასაც და სხვებსაც ამაზე უარესი რამ ჩაედინოს, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია.

მოგახსენებთ—რასში მდგომარეობს საქმე:

ქუთაისში ურიების საქმე იყო. ოთხ ადვოკატში უფ. ლოლუაც ამოირჩიეს იმათ და იმ თავითვე ასი თუმანი ფული მისცეს.

5 მარტს სასამართლომ დაიწყო ამ საქმის განხილვა. პირველად უფ. ლოლუამ მხურვალეთ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი: ერთი მოწამე არ გაუშვია ამას პირველი ორი დღის განმავალობაში, რომ, როგორც სხვებს, იმასაც რამე არ ეკითხოს გარემოების გამოსაკვლეველად; დაიარებოდა, გაცხარებით ლაპარაკობდა, ამართლებდა ბრალდებულებს, ბაასობდა და სხვ.

მაგრამ ორი დღის შემდეგ, უეცრად უფ. ლოლუამ როგორღაც აიცრუვა გული და სრულებით მოსპო სასამართლოში სიარული, აღარც მოწმეების ჩვენება მოუსმენია, არც ექიმების ექსპერტიზი და არც თავის მოამხანაგე ადვოკატების სიტყა...

ბოლოს, როცა იმაზე მივარდა საქმე, მოვიდა სასამართლოში და წარმოსთქვა სიტყვა. ეს სიტყვა ძალიან ცუდი სიტყვა იყო; ის გამართლების მაგიერად თითქო უფრო ამტყუვნებდა ბრალდებულებსა; ის ეწინააღმდეგებოდა იმ საბუთებს და მოსაზრებებს, რომელნიც მოიყვანა უფ. ალექსანდროვმა და რომლებზედაც ეს ამყარებდა ურიების დაცვას; ერთის სიტყვით, უფ. ლოლუას ეტყობოდა, რომ ის სრულიად არ იყო ამ საქმისათვის მომზადებული.

აი ეს არის სულ უფ. ადვოკატის ლოლუას დანაშაული.

ზანა ეს ისეთი დანაშაულია, რომ ამისთვის კაცის ჩაქოლვა იყოს საჭირო? აბა წამოდგეს ერთი რომელიმე ჩვენებური ადვოკატი და სინიდის ქვეშ სთქვას, რომ ამისთანა დანაშაული მე არა მაქვსო, ამგვარი საქმე ჩემს პრაქტიკაში მე ჩემ დღეში არ ჩამიდენიაო! ნეტავი ვიცოდე, რომელი ჩვენებური ადვოკატთაგანი გაბედავს იმის თქმას, რომ მე ისე არ გამოვსულვარ სასამართლოში, ისე არ დამიცვავს საქმე, რომ ეს საქმე ზედმიწევნით, დაწვრილებით, დალაგებით არ მცოდნოდესო.

არა გვგონია, რომ ამისთანა ადვოკატი გამოჩნდეს ამ ჟამად ჩვენში.

და უფ. ლოლუას მამაკვდინებელი დანაშაული, ჩვენის აზრით, სრულებით ეს როდია. იმის დანაშაული მდგომარეობს შემდგომში:

მოგეხსენებათ, რომ სოფლის ხალხი იმერეთში, თავად-აზნაურობაც კი დარწმუნებულია, რომ ურიები მართლა აწვალებენ ქრისტიანის ყმაწვილსაო. ამის გამო საზოგადოება უკმაყოფილოდ უყურებდა იმ ადვოკატებს, რომელთაც ურიების დაცვა იკისრეს სასამართლოში, ამბობენ, ერთმა გაელენიან კაცმა ბევრი ურჩია უფ. ქიქოძეს და ლოლუასაო—რომ სირცხვილია თქვენთვის, ქრისტიანებისათვის, რომ მაგისთანა საქმეს ჰკიდებთ ხელსაო, თავი დაანებეთო და სხვ.

უფ. ქიქოძეს, როგორც დამტკიცდა, არ შეუსმენია ეს რჩევა.

ჯერ უფ. ლოლუამაც არ მიაქცია ყურადღება ამ საზოგადოების უკმაყოფილებასა და წარჩინებული პირების რჩევას; არ მიაქცია უფრო იმიტომ რომ ათასი მანეთი წინათვე ჰქონდა აღებული ამ საქმისათვის და არ უნდოდა უკანვე დაებრუნებინა. მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმანც სხვა ნაირად დაატრიალა საქმე:

5 მარტს დაიწყეს ურიების საქმის გარჩევა ქუთაისის ოლქის სასამართლოში. მეორე დღეს, 6 მარტს, უეცრად გარდაიცვალა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის თავსმჯდომარე ბესარიონ ღოლაბერიძე. მესამე დღიდამ, ე. ი. 7 მარტიდამ, პრენიების დაწყებამდინ უფ. ლოლუას აღარ გაუვლია სასამართლოში.

ბამჭრიახე მკითხველი ,მიხვდება—თუ რად მოვიყვანე მე ერთად ეს სამი გარემოება. ამ სამ გარემოებას შუა ის დაინახავს, მეც ვხედავ და იმერეთში ხო ბევრმა დაინახა ძალიან დაახლოებული კავშირი... რა კავშირიაო, მკითხავთ?

ის კავშირი, რომ უფ. ლოლუას ძალიან გულით ჰსურს მიცვალებულის

** გუშინწინ, პარასკევს, შუაღამეზე, კიდევ გაჩნდა ცეცხლი რიყეზე და სამი თუ ოთხი ქვითკირის სახლი დაიწვა და რამდენიმე ფიცრული სახლები, რომლებშიაც ქალაქის იზვოსჩიკები იდგნენ. შუაღამეზე გაჩენილი ცეცხლი დილას კიდევ ვერ გაექროთ.

ამ ორი კვირის განმავალობაში ეს მეორეჯერ ედება ესეთი დიდი ცეცხლი რიყესა. ურიგო არ იქნება, რომ პოლიციამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს...

** ბორიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად იქაც, როგორც სოფ. მეტეხისაკენ, ისეთი მჭვალის ავათმყოფობა არის გავრცელებულიო, დღე ისე გაივლისო, რომ ორი-სამი მკვდარი არ ჩაატარონო. უცრად ხდებიანო ავათ, ველარც დოქტორი ჰშველის, ველარც წამალი, ისე იხოცებიანო.

ჩვენ ძალიან გვაკვირვებს, რომ არც მთავრობა და არც ჩვენი ექიმების საზოგადოება არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამ რაღაც უცნაურ მჭვლის ავათმყოფობას, რომელსაც ამდენი ხალხი უმსხვერპლია ქართლში...

** სია იმ საგანთა, რომელზედაც ხვალ, ორშაბათს ექნება სჯა ქალაქის რჩევას:

მოხსენება გამგეობისა ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა შეწევნაზედ;

მოხსენება გამგეობისა შტატებზედ;

აზრი გამგეობისა სანიტარულ კომისიის მოხსენების შესახებ;

მოხსენება ხმოვანის ქაპანაძისა იმაზედ, რომ რჩევამ ხელ-მეორედ მოილაპარაკოს 19 მარტის გარდაწყვეტილების შესახებ—პირუტყვის დაკვლის გარდასახადის იჯარით გაცემაზედ და სხვ.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ნაციონალურ კრებისა და სენატის ვერსალიდამ პარიჟში გადმოტანის თაობაზე, როგორც მოგეხსენებათ, კრებამ დანიშნა ცალკე კომისია, რომელსაც ამ საგნის შესახებ თავის აზრი უნდა წარმოედგინა. 10 მარტს მოუხსენებია დეპუტატს მელინს აზრი კომისიისა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კომისიის ყველა წევრები თანაუგრძნობენ ისევ პარიჟში გადმოტანას პალატებისას, მაგრამ ამისათვის კონსტიტუციის იმ მუხლის შეცვლა არის საჭიროვო, რომელიც ამ საგანს შეეხებაო. და ამიტომაც კომისიამ შემოიტანა წინადადება, რომ შეიკრიბოს კონგრესსი (ნაციონალური კრება და სენატი) და ამან შესცვალოს ეს მუხლი კონსტიტუციისა.

ნაციონალურმა კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო ეს წინადადება. პარიჟის გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ სენატიც წინააღმდეგობას არ გაუწევს ნაც. კრებას ამ შემთხვევაშიო და ამნაირად რამდენიმე თვის შემდეგ საფრანგეთის ნამდვილ დედა-ქალაქად ისევ პარიჟი გარდაიქცევაო.

ოსმალეთი

ერთს ბულგიურს გაზეთში იწერებიან, რომ აღმოსავლეთ რუმელიაში ყველა ის სახელმწიფოები გაგზავნიან თავის ჯარებს, რომელთაც ბერლინის ტრაქტატზე ხელი მოაწერესო. ამავე გაზეთის სიტყვით, ოსმალეთის მთავრობა დათანხმებულა, რომ აღმოსავლეთს რუმელიაში დროებით უცხო ქვეყნის ჯარები იყნენ ჩაყენებულნი.

მარტვილის სასულიერო სასწავლებელი

(დასასრული)

როდესაც ცხადათ დაინახეს რაშია საქმე და დაიწყეს რჩევა მასზე, თუ სად უფრო ემჯობინება ახალის სახლის აშენება, სად უფრო იაფათ დაჯდება, რომელი ალაგი უფრო იქმნება საშუალო, ერთის სიტყვით, სად დააფუძნონ სასწავლებელი, რომ მას შეეძლოს აღასრულოს თავისი დანიშნულება, დეპუტატთ, მის მაგივრათ, რომ გაშინჯონ საქმე საზოგადოთ, წარმოადგინეს ის სამაზრო ქალაქები, რომლების ახლოც ისენი არი-

---

ეს. ღოლობერიძის შემდეგ თავისუფლად დარჩენილი ადგილი იმერეთის ბანკის გამგებლისა ჩაიგდოს ხელში. უფ. ღოლუა ასე ფიქრობდა: გულგრილად მოვეპყრობი ურიების საქმეს; საზოგადოება კმაყოფილი დარჩება ჩემი, მე მოვიგებ იმის გულს, და ამ აპრილში რომ კანჭის-ყრა იქნება, უეჭველია, ბანკის გამგებლად ამომირჩევენ!

მაგრამ, რადგან არც იმ ათასი მანეთის დაკარგვა უნდოდა, და რადგან შეიტყო რომ ურიები უკან მოთხოვას უპირებენ ამ ფულისა, თუ იმათ სასარგებლოდ არაფერს ილაპარაკებს, ამის გამო უკანასკნელ დღეს მოვიდა სასამართლოში მოუმზადებელი და უცოდინარი საქმის გარემოებისა და წარმოსთქვა, მხოლოთ ურიების დასანახავად და გასაგონად, სიტყვა, რომელიც, თუმცა იმის კლიენტებს უფრო ამტყუვნებდა, ვინემ ამართლებდა, მაგრამ რომლის წყალობითაც იმან შეირჩინა ის ათასი მანეთი.

აი ეს არის გარემოება ამ საქმისა. და აი ეს არის, ჩვენის აზრით, მომაკვდინებელი შეცოდება და დანაშაული უფ. ღოლუასი.

ეს მოქმედება ნათლად გამოგვისახავს ამ კაცის ზნეობით მხარეს. ეს მეგრული გაიძვერობა, ოინი გვიჩვენებს—თუ როგორის პირ-მოთნეობითა და „ბანძური“ ეშმაკობით ჰსურს ამ კაცს აპორტყდეს, ავიდეს იმ მაღალ ასპარეზზედ, სადაც საჭიროა პატიოსნება, კეთილი სინიდისი და პირ-და-პირობა; აქედამ სჩანს—თუ რა ღონის-ძიებით ჰსურს ამ კაცს დაიმსახუროს საზოგადოების ნდობა, პატივის-ცემა და თანაგრძნობა.

აი ეს არის ცუდი და საზიზღარი მოქმედება, და არა ის, რომ კაცმა ერთ რომელიმე საქმე რიგიანად ვერ წაიყვანა და ვერ შეასრულა. ცუდი ისაა, როდესაც განგებ, წინ-დახედულად, თავის კერძო მიზნის აღსასრულებელად, არ წაიყვანა კაცმა კარგათ საქმე...

რა სალღად, რა მიუწდომელად მაღლად დგას ასე უდროვოთ მიცვალებულია ბესარიონ ღოლობერიძის სურათი ამ გვარს კაცებზედა! რა ჭკუის მასწავლებელია, რა სამაგალითოა ამ კაცის უანგარო, მოუსყიდელი ცხოვრება ჩვენი საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზდობისათვის! კაცმა რომელსაც, ცოტა თავის სინიდისისათვის ფარდა რომ გარდაეფარებინა, ადვილად შეეძლო უმაღლესი, სამსახურის თანამდებობა მიეღო, რომელსაც შეეძლო რამდენიმე ათასი და იქნება ათი-ათასი თუმანიც შეეძინა—თავის სიკვდილის შემდეგ დასტოვა მხოლოთ ბიბლიოთეკა და ფულად-ფული კი სამოც-და-ორი მანეთი!

ეს სამოც-და-ორი მანეთი—ბეს. ღოლობერიძისაგან დატოვებული მემკვიდრეობა და ქონება—მუდამ უნდა ებლანდებოდეს თვალ-წინ, მუდამ სინიდისს უნდა უწუხებდეს იმ პირთ, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ბეს. ღოლობერიძემ მხოლოთ თავის კერძო სარგებლობისათვის, მომეტებული ჯამაგირისათვის და ანგარ-მოყვარეობით მოჰკიდა ქუთაისის ბანკს ხელიო, რომ ამ ბანკში ეს კაცი მრუდეთ იქცევაო, საზოგადო ფულებში ხელს ურევსო და სხვ. და სხვ.

იმერეთში და აქაც ჩვენ გვესმოდა საზოგადოებაში სურვილი, რომ ბესსარიონ ღოლობერიძის სახელობით სტიპენდია დაწესდეს. ეს სურვილი დღეს „თფილისის მოამბეში“ ერთსა და იმავე დროს ორის პირისაგან არის გამოცხადებული: უფ. მ—საგან (პეტერბურღიდამ) და უფ. ზ. ქამსარაკანისაგან (ერევნიდამ).

ჩვენი დიდი თანაგრძნობა ამათ! ამაზე უკეთესს სახელს ამ ჟამად ჩვენი საზოგადოება ვერ დაარქმევს უნივერსიტეტში გამოსაზრდელ ყმაწვილი კაცის სტიპენდიასა. მთელი სიცოცხლე მიცვალებულისა იყო ბრძოლა, ბრძოლა ჯერ თავის თავისა და მერე ჩვენი ხალხის განათლებისათვის...

მაგრამ ცარიელი სიტყვებიდამ რა გამოვიდა! დაიწყეთ ხელის-მოწერით ან სხვა რომელიმე გზით ფულის მოგროვება. მსურველები სასტიპენდიო ფულების მოგროვებაში რომ მონაწილეობა მიიღონ, ბევრი ამოჩნდებიან; ოღონდ საქმე დაიწყეთ...

სოლოლაკელი

ან და რომლებშიაც ყოფნა სასწავლებლისა მათთვის უფრო სასარგებლო იქმნება.

სამეგრელოში ორი ქალაქია, სენაკი და ზუგდიდი და ამ ორი ქალაქის პარტიათ გაიყვნენ მამა დეპუტატებიც. სრულებით არა ყოფილა საზოგადო სჯილობა მასზე, თუ რათ სენაკში და არა ზუგდიდში, რათ ზუგდიდში და არა სენაკში. Ისინი კრებაზე მოვიდნენ წინ-და-წინვე ორ პარტიათ გაყოფილნი და წინ-და-წინვე ერთ მიზნათ, რომ რაც გინდა იყოს, რაც უნდა მოხდეს, უთუოთ ჩვენს ქალაქში გადავიტანოთო!

შეიქმნა ყვირილი, ღრიალი, სრულებით უწესოება. Ისეთი ყოფაქცევა, როგორიც გამოაჩინეს მამა დეპუტატთ ამ კრებაზე, არამც თუ სამღვდელოთა, რომელნიც მაინც და მაინც უნდა იყვნენ წესიერების, გულ-დადგრომილობის, ჭკუიანობის და სიწყნარის წარმომადგენელნი, არამედ გაუნათლებელთ, სრულებით უზდელთ გლეხებსაც კი არ შეჰშვენით..

რა უნდა სასწავლებელს?

Პირველათ უნდა სახლი. Ვარგა აწინდელი სახლი? Არის მარტვილში სხვა შესაფერდი სახლი? Არა. Შეიძლება შაგირდების ცხოვრების გაუმჯობესობა, სანამ ისინი მარტვილში იქმნებიან, შეიძლება მათთვის პანსიონის გაკეთება, შეიძლება სასწავლებელს ჰქონდეს საავათმყოფო, რომ დააწვინოს და მოუაროს ბოვშვს და არ მოკლას ფაცხაში გდებით და უპატრონობით ისეთი უბრალო ავათმყოფობით როგორც წითელა და როგორც მოუხდა წელს? Არა. Შეიძლება სასწავლებელს ჰყავდეს დოქტორი? Არა...

Მარამ ამბობენ: მარტვილს ყოველთვის ეჭირა ისეთი ალაგი სამეგრელოში, როგორიც რომს რომაელთ ტომში და როგორ შეიძლება მას წაართოთ სასწავლებელიო? Ამაზე აი რა მოგახსენოთ:

Ერთხელ მებატეს მოჰყავნდა ქალაქს ბატები და წკეპლათი სცემდა მათ. Გზაში ბატებმა შესჩივლეს მომავალს:

— Უყურე, რა უკადრისათ გვექცევაო და ის კი არ ახსოვს, რომ ჩვენმა მამა-პაპამ ერთხელ რომი დაიხსნა მტრებიდამაო.

— Ახლა, თქვენ რა გინდათო? ჰკითხეს ბატებს.

— Ჩვენმა მამა-პაპამ რომი დაიხსნაო და ჩვენ კი ასე უკადრისათ გვექცევიანო.

— Ჰო, უპასუხეს, მარამ თქვენ, თქვენ რა ხელი გაქვთ, რა გირდათ?

— Ჩვენ გვინდა პატივი, რადგანაც ჩვენ მამამა...

— Პი, ბატონო, შეაწყვეტინეს ბატებს, თქვენმა მამა-პაპამ რომი დაიხსნა, მარამ თქვენ კი იმის მეტათ არ ვარგიხართ, რომ აგაგონ შამფურზე და შეგწვანო!

Მარტვილის საქმეც ასეა. Როცა ის იყო, იყო; დროც სხვა იყო, შეუძლებლობაც, ჭკუაც, განათლებაც; მაშინ ჭყონდიდელებიც სხვები იყვნენ.

Დარჩა სენაკი და ზუგდიდი.

Მე არავის არ მივსცემ რჩევას, რადგანაც სამღვდელოებამ თვითონ იცის; ვნახოთ რას იზამენ. Მხოლოდ არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ გადატანა სასწავლებლისა ერთი კუნჭულიდამ მეორე კუნჭულში არ იქმნება სიმართლე. Ვისურვებ მხოლოდ, რომ, რადგანაც კრება, ერთმანერთში მოურიგებლობის გამო, გადაიდო 5 მომავალს აპრილამდე, სამღვდელოებამ უკუ-აგდოს პიროვნება, და მოულოს ბოლო ეხლა მაინც იმ საძაგელს მდგმოირებას, რომელშიაც აქამომდე იყვნენ და არიან როგორც სასწავლებელი, ეგრეთვე მოსწავლენი და მასწავლებელნი.

Მარტვილი, 7 მარტს ა. ხელაშვილი

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ბანკის წესდების § 83 მუხლის ძალითა და 20 მარტს 1879 წელს ზედამხედველის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძვლით, მოიწვევს ხსენებული ბანკის დამწესებლებს ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ, რომელიც დანიშნულია 30 აპრილს 1879, დილის 10 საათზე ბანკის სადგომში.

ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘ:

1. განხილვა და დამტკიცება 1878 წლის ბანკის ანგარიშისა.
2. რა საზოგადო საჭიროებისათვის უნდა დაიხარჯოს ის კაპიტალი, რომელიც დარჩა მოსახმარებელად საზოგადო საჭიროებისათვის.
3. გამოცვლა ბანკის წესდების მე-84 მუხლისა, რომელიც შეეხება დამფასებელ კომისიის წევრების ამორჩევასა და დაჯილდოების წესსა.
4. Დაჯილდოება იმ კანდიდატებისა, რომელნიც მოწვეულნი იქნებიან გამგეობისა და დამფასებელ კომისიის წევრების თანამდებობის აღმასრულებლად, როდესაც ნამდვილი წევრები არ არიან.
5. Ამორჩევა ზედამხედველი კომიტეტის და Დამფასებელ კომისიის ყველა წევრებისა.

Აღმორჩევა, წილით, ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა.

(3—1)

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური. . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი. . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი. . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

Ოცი სიტყვა Თფილისიდამ:	მან.	კაპ.
Კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
Როსტოვს, Ოდესას, Მოსკოვს	2	—
Პეტერბურგს, Ვარშავას	2	—
Ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
Იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
Ინგლისში	3	75

ᲤᲝᲩᲢᲐ

ა) Თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. Ზუგდ. ორშ. და ხუთშ. Ოზურ.—პარასკ. და ორშ. Ახესთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: Თფილისისა და Ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

Წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
Ღია წიგნის	4
Დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

Თფილისი, 24 მარტს.	მან	კაპ
Ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	60
Ფქვილი წითელი . . .	1	35
ქერი ფუთი	1	20
ბამბა Ერევნისა, ფუთი .	7	40
—Ამერიკისა, ფუთი . .	8	60
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	9	70
მატყლი თუშური ფუთი.	6	50
—Თარაქამისა ფუთი . .	4	20
Აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	40
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, ბროლ. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
Ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
Თამბაქო, ხაშალო ფთ.	7	5

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.

Ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

Ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდის.

Ო რ შ ა ბ ა თ ს: Ვერმიშევი და Გაოლევიჩი—შინაგ. ავათ., Ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: Ვერმიშევი—შინაგ. Ა. Ბახუტოვი—სენებიო და ბავშვის. Პეუნოვი—თვალის.

Ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: Ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: Ვერმიშევი—შინაგ., Ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

Პ ა რ ა ს კ ე ვ ს: Ვერმიშევი-შინაგ., Ა. Ბახუტოვი—სნებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: Ვერმიშევი შინაგ., და Პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Марта 1879 г. Типографія Меликова. Გამომცემ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. Რედაქტორი Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.